F75/2 № 13919

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

სკპ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და სკპ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 1 იანვარი 1943 წ. № 1 (6626). ფასი 20 კაპ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისამხ. მ. ი. კალინინის საახალწლო სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის მოქალაქენო! შუშები და მუშა ქალები, კოლმეურნეები და კოლმეურნე ქალები! საბჭოთა ინტელიგენციავ! ითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მებრძოლები, მეთაურნ და პოლიტმუშაკები! პარტიზანები და პარტიზანო ქალები! გერმანელ ფაშისტი ოკუპანტების შიერ ლებით დაპყრობილი საბჭოთა რა ნების მცხოვრებლები! ნება მიბოძეთ მოგილოცოთ ახალი წელი.

გასული წელი, ამხანაგებო, ამამულო ომის ფრონტებზე გაფთებული ბრძოლების წელი იყო. მას ემდეგ, რაც შარშან გერმანელები დამარცხდნენ მოსკოვთან და ფრონტს სხვა უბნებზე, ჰიტლერმა თავისი ასალები — იტალია, რუმინეთი, უნგრეთი და უკიდურესად დაუძლეველი ფინეთიც კი აიძულა მთელი ავიანთი ადამიანთა რეზერვები გაეცათ გერმანელთა სარდლობის გაკარგულებაში, შეაგროვა, რის მიღწევაც კი შეიძლებოდა თვით გერმანიაში, მოხსნა საოკუპაციო ჯარების აწილი საფრანგეთიდან და სხვა ოკუპირებული ქვეყნებიდან და ფიქრობ ასეთი შეკრული მუშტით ასალ ლახვარი ჩაეცა წელს ჩვენი არმიისათვის.

მე არ ვლაპარაკობ გერმანის არმიის მთავარ დარტყმათა მართულების და ამ არმიის საერობის ზრახვების შესახებ. ყოველივ ეს საუცხოოდ არის გადმოცემული ამხანაგ სტალინის მოხსენებაში მოსკოვის საბჭოს 1942 წლის 6 ტემბრის საზეიმო სხდომაზე. ვიტყვი ოლოდ, რომ ფაშისტურ არმიას ალა არ აღმოაჩნდა გერმანიის საერობის გეგმების შესასრულებლად. ბრძოლებს ჰქონდა უაღრესად აფთრებული, ზოგჯერ კი მძიმე სიათიც. წითელი არმია მამაცურად იცავდა საბჭოთა მიწა-წყალს, მოანცველ დარტყმებს აგემებდა მტერსდა ჩაფუშა ჰიტლერელთა ვერაგული გეგმები.

თუ გავითვალისწინებთ ოს გასული წლის საერთო შედეგებ შეიძლება დაბეჯითებით ითქს, რომ დღეს საომარი მდგომარეო ჩვენთვის უფრო ხელსაყრელია, ვიდრე შარშან ამ დროს იყო, თუმ ჩვენი არმია მაშინაც სერიოზულ დარტყმებს აგემებდა მტერს.

წელს გერმანელები შეტევს აწარმოებდნენ არა მთელ ფრონზე, არამედ მარტო სამხრეთის და ამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, და გერმანელთა სარდლობამ მნც ვერ მიაღწია დასახულ მიზნს. ერმანიის არმიამ საომარი მოქმედები მსვლელობაში ისეთი ზარალი ნახ რომელმაც შეტევითი ძალა გამოელა მას.

ჩვენი ჯარების მიერ სასტოპოლის გმირული დაცვა გერნელ-რუმინელთა ჯარებს არა ერ ათეულ დივიზიად დაუჯდათ. ერმანელთა ზარალი სტალინგრადის ფრონტზე ასიათასობით მოკლულითა და დაჭრილით გამოიხატება. გერმანლთ ზარალი დიდია მათი შეტევ სხვა მიმართულებებითაც. ყოველ კილომეტრი გავლილი გზა გერმანელებს წელს გაცილებით უფრო მტ მსხვერპლად დაუჯდათ, ვიდრე შარშ. ამავე დროს წითელი არმია ალებს ამზადებდა, რათა საპასუხო დარტყმები ეგემებინა მტრის ჯარებისთვის. ყოველივე ამან, ერთად აღებულმა, ის გამოიწვია, რომ ინიციატივ კვლავ გადმოვიდა ჩვენი სარდლის ხელში, რომელმაც არ დააყოვნ ი სრული ზომით გამოყენება.

გერმანელთა ნაწილებისვის კავკავთან (ორჯონიკიძე) ყენებული დარტყმები, ჩვენი კტრმეტევა სტალინგრადის რაიონში რომლის მსვლელობაშიც გერმანელს სასტიკი დარტყმები ვაგემეთ, ჩვ ჯარების შეტევა ცენტრალურ ფრ ტზე, დასასრულ, შეტევა, რომ ც დონის შუაწელის რაიონში და ჩრდილოეთ კავკასიაში ჩაღდება, ჩვენ სასარგებლოდ სცვლიან მდგომარეას მთელ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე.

ჩვენი შეტევის შედეგ, რაც 19 ნოემბერს დაიწყო სტალინგრადის რაიონში, 25 ნოემბერს—ენტრალურ ფრონტზე და 16 დეკემბს—დონის შუაწელის რაიონში, გერმანელებს ისეთი ზარალი მოუვიდა თ რომელმაც არ შეიძლება გავლენა არ ქონოს ფრონტის დანარჩენ უბნ ზეც.

შეტევის შედეგად ხელ ვიგდეთ მრავალ ათეულათასობით ტყვეები, გავანადგურეთ ფაშისტ ათობით დივიზიები, ხელთ ვიგდეთ დიდძალი ლეკი: ასობით თვითმფრინავები, ათასობით ტანკები, ქვემეხები, ნაღმსატყორცნები, ტყვიამფრქვევები, ავტომატები, ავტომანქანები, ილიონობით ყუმბარები, ვაზნები. ხელთ ვიგდეთ მრავალი საწყობი სამარ მასალიანად და სურსათიანად.

ჩვენმა ნაწილებმა დაიკავ 2.000-ზე მეტი დასახლებული პუნქ — სოფლები, რაიონული ცენტრი და ქალაქები.

ამხანაგებო, გასული წლ შესახებ რომ ვლაპარაკობთ, უნდა ღენიშნოთ პატრიოტული გრძნობების ზრდა საბჭოთა კავშირის მთელ მოსლობაში, ფრონტისადმი მრავალი სას აქტიური საზოგადოებრივი ახმარების ზრდა.

მუშები და მუშა ქალებ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი ანუწყვეტლივ აუმჯობესებენ საბჭოთ საჭურველის ხარისხს, სისტემატურ სრულყოფენ ნაწარმის დამუშავ ბის პროცესს, ზრდიან შრომის ინტენსივობას. ეს იმის შესაძლებლობ იძლევა, რომ შეუფერხებლად მ ამარაგოთ საჭურვლითა და სამარი ასალებით ჩვენი წითელი არმია, ჩვენ სამხედრო-საზღვაო ფლოტი.

კოლმეურნეებმა და ოლმეურნე ქალებმა წელს დიდი უნარ და შრომა მოანდომეს ნათესების ფართოებას, მოსავლის აღებას და მეცხოველეობის განვითარებას. კოლმეურნე გლეხობის შრომა გამართლდა—წელს კარგი მოსავალი იყო და დროულადაც იქნა აღებული. განსაკუთრებული სიყვარულით მუშავდებოდა თავდაცვის ფონდისათვის გამოყოფილი ნაკვეთები. ამ ნაკვეთებმა მნიშვნელოვანი რაოდენობით მოგვცა პურეული და ბოსტნეული არმიისათვის გეგმის გარეშე.

ამ უკანასკნელ ხანს სტიქიურად გაჩაღდა თვითმფრინავებისა და სატანკო კოლონების ასაგებად სახსრების

შეგროვების კამპანია. ათასობით დეპეშები მოდის ამხანაგ სტალინის სახელზე კოლმეურნეებისა და კოლმეურნე ქალებისაგან; ისინი სიხარულით იტყობინებიან, რომ მათ ბანკის განყოფილებებში შეიტანეს ფულადი სახსრები თვითმფრინავებისა და ტანკების ასაგებად, დამატებით აბარებენ სახელმწიფოს მარცვლეულს, ხორცს და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს. მთელი საბჭოთა ხალხი გამსჭვალულია პატრიოტიზმის მაღალი გრძნობით. დამახასიათებელია, რომ ნაციონალური რესპუბლიკებისა და შორეული ოლქების კოლმეურნეები ცდილობენ არა თუ არ ჩამორჩნენ ცენტრალურ ოლქებს, არამედ ხშირად კიდევაც აჭარბებენ მათ შეტანილი თანხების რაოდენობით.

საბჭოთა ხელისუფლებისადმი ჩვენი კოლმეურნე გლეხობის ერთგულების, ბელადისა და მხედართმთავრის — ამხანაგ სტალინისადმი სიყვარულის ეს მკაფიო დემონსტრაცია საუკეთესო მაგალითია იმისა, რომ წელწადნახევრის ომმა კი არ შეასუსტა, არამედ კიდევ უფრო მეტად განამტკიცა საბჭოთა ზურგი, უფრო მეტად შეამჭიდროვა მომე ხალხები გერმანელ ავაზაკებთან ბრძოლაში.

ჩვენი ინტელიგენცია — აკადემიკოსებით დაწყებული სოფლის მასწავლებლამდე—მთელ თავის ცოდნასა და ძალ-ღონეს აბმარს სამშობლოს. ლაბორატორიებში, კვლევითს ინსტიტუტებში, საქარხნო სახელოსნოებში, მახტებსა და ჭაბურღილებში, ქოხ-ლაბორატორიებში და უშუალოდ მინდვრებში, ყველგან სუფევს შემოქმედებითი სული, რომელიც მიმართულია ერთი მიზნისაკენ—შეტანილ იქნას წვლილი მტერზე გამარჯვების საქმეში.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ მთელი საბჭოთა ხალხი, ყველა ეროვნება დიდით პატარამდე, მჭიდრო რიგებად ეწევა ბრძოლას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისათვის, გერმანელ ფაშისტებზე მისი გამარჯვებისათვის.

ხალხის სიყვარული თავისი არმიისადმი თავს იჩენს ფრონტზე გაგზავნილი საჩუქრების განუწყვეტელი ნაკადის სახით. უკლებლივ ყველა მოქალაქენი, ბავშვებიც კი, ცდილობენ რითიმე აღნიშნონ თავიანთი ზრუნვა და თავიანთი ყურადღება წითელი არმიის მებრძოლისადმი.

ამხანაგებო, ძველი 1942 წელი დამთავრდა. მან ჩვენს ხალხს დაუტოვა რთული და ძნელი ამოცანები, მაგრამ ამასთან ერთად მომავალი წლის სასიკეთო პერსპექტივებიც.

ჩვენი ხალხი სულ უფრო და უფრო აქტიურად უწევს დახმარებას ფრონტს, სულ ახალ-ახალ საშუალებას პოულობს იმისათვის, რომ განუწყვეტლივ აძლიეროს ეს დახმარება.

ჩვენმა არმიამ საომარი გამოცდილება მოიპოვა არა მარტო მედგარ თავდაცვაში, არამედ ისწავლა კიდევაც, თუ როგორ ურტყას გათავხედებულ მტერს მაგრად.

მიუხედავად იმისა, რომ უთვალავი დამსჯელი ექსპედიციები იგზავნება პარტიზანების წინააღმდეგ და სასტიკად უსწორდებიან ამ გლეხებს, რომლებიც პარტიზანებს თანაუგრძნობენ, პარტიზანული მოძრაობა იზრდება და სულ უფრო და უფრო დიდ დარტყმებს აგემებს გერმანელ ფაშისტ ოკუპანტებს.

საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ მოკავშირეთა როლი გერმანელ ფაშისტებთან ბრძოლაში სულ უფრო და უფრო გაიზრდება.

მთელი ხალხი, არმია, ფლოტი აღგზნებულია სურვილით რაც შეიძლება მალე განდევნოს გერმანელი დამპყრობნი ჩვენი მიწა-წყლიდან. მაშ მთელი ძალ-ღონე, ცოდნა და გამოცდილება მოვახმაროთ ამ დიადი მიზნის განხორციელებას, უფრო მჭიდროდ დავირაზმოთ ხალხთა ბელადის, არმიისა და ფლოტის მხედართმთავრის—ამხანაგ სტალინის გარშემო, და გამარჯვება უზრუნველყოფილი იქნება ჩვენი ხალხისათვის.

მოგილოცავთ ახალ წელს, ამხანაგებო!

მოგილოცავთ ახალ წელს, ამხანაგებო!

ლენინ-სტალინის ძლევამოსილი დროშით წინ, ახალ გამარჯვებებისაკენ! მოსაპოვებლად, გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთა სრული განადგურებისათვის!

სტალინგრადის მისადგომებზე ჩვენი ჯარების ექვსი კვირის შეტევის შედეგები

1942 წლის სექტემბრის შუა რიცხვებისათვის წითელმა არმიამ შეაჩერა გერმანელ ფაშისტთა ჯარები სტალინგრადთან.

ომის მსვლელობამ ცხადჰყო, რომ გერმანიის სარდლობის სტრატეგიული გეგმა, რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ ხელში ჩაეგდოთ სტალინგრადი, მოეწყვიტათ საბჭოთა კავშირის ცენტრალური ევროპული ნაწილი ვოლგისა და ურალის ზურგისათვის, გარს შემოერტყმოდნენ და აეღოთ მოსკოვი, ქვიშაზე იყო აგებული, თავიანთი რეალური ძალებისა და საბჭოთა რეზერვების გაუთვალისწინებლად.

ამ გეგმის სრულ წინააღმდეგობას წარმოადგენდა სტალინგრადთან გერმანელ ფაშისტთა ჯარების გარშემორტყმისა და განადგურების სტრატეგიული გეგმა, რომელიც შეჰქმნა წითელი არმიის უმაღლესმა მთავარსარდლობამ.

ეს გეგმა ჩვენმა ჯარებმა სამ ეტაპად განახორციელეს 1942 წლის ნოემბერ-დეკემბერში.

I.

პირველი ეტაპი—ჩვენი ჯარების შეტევა სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით

19 ნოემბრიდან წითელი არმია შეტევაზე გადავიდა სამხრეთ-დასავლეთის, დონისა და სტალინგრადის ფრონტების ძალებით და მძლავრად დაარტყა მტერს.

სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით მოქმედ საბჭოთა ჯარებს წითელი არმიის უმაღლესმა მთავარსარდლობამ მიზნად დაუსახა—გაენადგურებინათ გერმანელ ფაშისტთა ჯარების საფლანგო დაჯგუფებანი სტალინგრადის მისადგომებზე და შემოვლითი მოძრაობის საშუალებით გარს შემორტყმოდნენ სტალინგრადთან განლაგებულ მტრის არმიის შენაერთების ძირითად მასას. ეს მიზანი წარმატებით იქნა მიღწეული წითელი არმიის ნაწილებისა და მის მეთაურთა შემადგენლობის მარჯვე მოქმედებით.

შეტევის მსვლელობაში ჩვენმა ჯარებმა გაანადგურეს მოწინააღმდეგის შემდეგი შენაერთები: რუმინელთა 1-ლი, მე-2, მე-5, მე-6, მე-9, მე-13, მე-14 და მე-15 ქვეითი დივიზიები, რუმინელთა მე-7 ცხენოსანი და 1-ლი სატანკო დივიზიები, გერმანელთა 44-ე, 376-ე და 384-ე ქვეითი დივიზიები და 22-ე სატანკო დივიზია. გარდა ამისა, დიდად იქნა დაზარალებული გერმანელთა სამი ქვეითი დივიზია. ამ ბრძოლებში ჩვენმა ჯარებმა მოსპეს მოწინააღმდეგის 95.000 და ტყვედ წამოიყვანეს 72.400 ჯარისკაცი და ოფიცერი. ჩვენმა ნაწილებმა ხელთ იგდეს მდიდარი დავლა; ამ დავლაშია 134 თვითმფრინავი, 1.792 ტანკი, 2.232 ქვემეხი, 7.306 ავტომანქანა, აგრეთვე დიდძალი ნაღმსატყორცნები, ტყვიამფრქვევები, ავტომატები, ტანკსაწინააღმდეგო თოფები, საომარი მასალები და სხვა სამხედრო ქონება.

ამავე ხნის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა მოსპეს: 826 თვითმფრინავი, 548 ტანკი, 934 ქვემეხი, 3.190 ავტომანქანა და ბევრი სხვა სამხედრო ქონება.

სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარების შეტევის განმავლობაში წითელმა არმიამ წინ წაიწია 70-150 კილომეტრით და გაათავისუფლა 213 დასახლებული პუნქტი.

ჩვენი ჯარების მხრივ წარმატებითი გარღვევისა და შეტევის შედეგად სტალინგრადის რაიონში გარშემორტყმულია გერმანიის ჯარების შემდეგი შენაერთები და ნაწილები: გერმანელთა მე-14, მე-16 და 24-ე სატანკო დივიზიები, გერმანელთა მე-3, 29-ე და მე-60 მოტორიზებული დივიზიები, გერმანელთა 71-ე, 76-ე, 79-ე, 94-ე, მე-100, 113-ე, 297-ე, 295-ე, 305-ე, 371-ე და 389-ე დივიზიები და რუმინელთა მე-20 ქვეითი დივიზია, რუმინელთა 1-ლი ცხენოსანი დივიზია და ნაშთები გერმანელთა 44-ე, 376-ე და 384-ე ქვეითი დივიზიებისა, რომლებიც განადგურებულ იქნენ სტალინგრადის რაიონში ჩვენი ჯარების შეტევისას. გარდა ამისა, გარშემორტყმულია გერმანიის არმიის მთავარი სარდლობის რეზერვის 44-ე, 46-ე და 61-ე საარტილერიო პოლკები, მე-12, 25-ე, 37-ე, 104-ე საზენიტო პოლკები, 53-ე სანაღმმტყორცნო პოლკი, 50-ე, 162-ე, 294-ე, 336-ე ცალკე მესანგრე ბატალიონები.

ასეთია სტალინგრადის მისადგომებზე საბჭოთა ჯარების შეტევის პირველი ეტაპის ბრძოლების შედეგები.

II.

მეორე ეტაპი—ჩვენი ჯარების შეტევა დონის შუაწელის რაიონში

დაამთავრა რა გერმანელ ფაშისტთა ჯარების გარშემორტყმა სტალინგრადთან და ამით წარმატებით შეასრულა რა უმაღლესი მთავარსარდლობის მიერ დასახული ამოცანა, წითელმა არმიამ 16-დან 30 დეკემბრამდე ახალი დარტყმა აგემა მტერს დონის შუაწელის რაიონში.

დონის შუაწელის რაიონში შემტევ საბჭოთა ჯარებს წითელი არმიის უმაღლესმა მთავარსარდლობამ დაუსახა მიზანი—გაერღვიათ მოწინააღმდეგის თავდაცვის ფრონტი ნოვაია კალიტვა—მონასტირშჩინის რაიონში, ზურგში მოჰქცეოდნენ გერმანელ ფაშისტთა იმ არმიას, რომელიც დონის დიდს მოსახვევში მოქმედებდა, და სტალინგრადთან გარშემორტყმული მტრის ჯარებისათვის მოესპოთ გარშემორტყმისაგან თავის დაღწევის ან გარედან დახმარების მიღების შესაძლებლობა.

დონის შუაწელის რაიონში შეტევის ეს მიზანი სავსებით განხორციელებულ იქნა წითელი არმიის ნაწილებისა და მეთაურთა შემადგენლობის მარჯვე მოქმედებით.

დონის შუაწელის რაიონში წარმოებული ბრძოლების დროს წითელმა არმიამ 150-200 კილომეტრით წაიწია წინ. განთავისუფლებულია 1.246 დასახლებული პუნქტი. შეტევის მსვლელობაში ჩვენმა ჯარებმა გაანადგურეს მტრის შემდეგი შენაერთები: გერმანელთა 62-ე, 294-ე, 298-ე, 306-ე, 385-ე ქვეითი დივიზიები, გერმანელთა მე-11 სატანკო დივიზია; იტალიელთა ქვეითი დივიზიები: მე-3 დივიზია „როვენა“, მე-3 დივიზია „ჩელერე“, მე-5 დივიზია „კასერია“, მე-2 დივიზია „სფორცესკო“, მე-9 დივიზია „პასუბიო“, 52-ე დივიზია „ტორინო“, შავხალათიანთა 1-ლი ბრიგადა, რუმინელთა მე-7 და მე-11 ქვეითი დივიზიები. გარდა ამისა, დიდი ზარალი მოუვიდა მოწინააღმდეგის ოთხ დივიზიას. მტრის ჯარებმა ამ ბრძოლებში 59.000 კაცი დაჰკარგეს მარტო მოკლულთა სახით; ტყვედ წამოყვანილია მოწინააღმდეგის 60.050 ჯარისკაცი და ოფიცერი. საბჭოთა ჯარებმა ხელთ იგდეს დიდძალი დავლა; დავლაშია 368 თვითმფრინავი, 178 ტანკი, 1.927 ქვემეხი, 7.414 ავტომანქანა, აგრეთვე დიდძალი ნაღმსატყორცნები, ტყვიამფრქვევები, ავტომატები, ტანკსაწინააღმდეგო თოფები, საომარი მასალები და სხვა სამხედრო ქონება.

გარდა ამისა, ჩვენმა ჯარებმა მოსპეს: 117 თვითმფრინავი, 172 ტანკი, 268 ქვემეხი, 1.000-ზე მეტი ავტომანქანა და მრავალი სხვა სამხედრო ქონება.

ასეთია სტალინგრადის მისადგომებზე საბჭოთა ჯარების შეტევის მეორე ეტაპის ბრძოლების შედეგები.

III.

მესამე ეტაპი—ჩვენი ჯარების შეტევა სტალინგრადის სამხრეთით

გერმანელთა სარდლობამ, ჩიხში მოაქცია რა თავისი ჯარები სტალინგრადთან და კატასტროფის წინაშე დააყენა რა ისინი, სასოწარკვეთით ცდა გაეთავისუფლებინა თავისი ჯარები, რომლებიც გარშემორტყმული არიან წითელი არმიის მიერ სტალინგრადთან. ამ მიზნით მოწინააღმდეგემ კოტელნიკოვოს ჩრდილოეთით მდებარე რაიონში თავი მოუყარა ჯარების დიდ დაჯგუფებას და 12 დეკემბერს შეტევითი მოქმედება დაიწყო ჩვენი ნაწილების წინააღმდეგ.

სტალინგრადის სამხრეთით მოქმედ საბჭოთა ჯარებს წითელი არმიის უმაღლესმა მთავარსარდლობამ ამოცანად დაუსახა: გაენადგურებინათ მტრის ჯარების ახალი დამკვრელი დაჯგუფება, უკუეგდოთ გერმანელები სამხრეთისაკენ და მოესპოთ მათთვის იმის უკანასკნელი შესაძლებლობა, რომ გზა გაეხსნათ სტალინგრადთან გარშემორტყმული თავიანთი დივიზიებისათვის.

ეს მიზანი განხორციელებულ იქნა ჩვენი ჯარების შეტევის მესამე ეტაპზე სტალინგრადის სამხრეთით.

სტალინგრადის სამხრეთით მდებარე რაიონში შეტევის დროს ჩვენმა ჯარებმა 100-150 კილომეტრით წაიწიეს წინ და გაათავისუფლეს 130-ზე მეტი დასახლებული პუნქტი. 12-დან 30 დეკემბრამდე წარმოებული ბრძოლების დროს ჩვენმა ჯარებმა გაანადგურეს გერმანელთა მე-6, მე-17 და 23-ე სატანკო დივიზიები და მე-16 მოტორიზებული დივიზია, რუმინელთა მე-4 და მე-18 ქვეითი, მე-5 და მე-8 ცხენოსანი დივიზიები. გერმანელ ფაშისტთა ჯარებმა 21.000 კაცი დაჰკარგეს მარტო მოკლულთა სახით. ტყვედ წამოყვანილია მოწინააღმდეგის 5.200 ჯარისკაცი და ოფიცერი. ჩვენი ჯარების მიერ წამოღებულ მდიდარ დავლაშია 40 თვითმფრინავი, 94 ტანკი, 292 ქვემეხი, 329 ავტომანქანა, აგრეთვე ბევრი სხვა საჭურველი, საავიაციო და სატანკო ქონება.

ბრძოლების მსვლელობაში ჩვენმა ჯარებმა მოსპეს: 306 თვითმფრინავი, 467 ტანკი, 257 ქვემეხი, 945 ავტომანქანა და ბევრი სხვა სამხედრო ქონება.

ასეთია საბჭოთა ჯარების შეტევის მესამე ეტაპზე ბრძოლების შედეგები.

ასე იქნა განხორციელებული სამ ეტაპად წითელი არმიის უმაღლესი მთავარსარდლობის გეგმა სტალინგრადის მისადგომებზე გერმანელ ფაშისტთა ჯარების გარშემორტყმისა და განადგურებისა.

* * *

სტალინგრადის მისადგომებზე ექვსი კვირის ბრძოლების მსვლელობაში ჩვენმა ჯარებმა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან გაათავისუფლეს 1.589 დასახლებული პუნქტი. 1942 წლის 19 ნოემბრიდან დაწყებული შეტევის განმავლობაში წითელმა არმიამ მოკლე ხანში წარმატებით განახორციელა უძნელესი ოპერაცია, მჭიდრო სალტედ შემოერტყა მოწინააღმდეგის 22 დივიზიას სტალინგრადის რაიონში. წითელმა არმიამ გაანადგურა მთლიანად 36 დივიზია, აქედან 6 სატანკო დივიზია, და მძიმე ზარალი მიაყენა მოწინააღმდეგის 7 დივიზიას. ამ ხნის განმავლობაში გერმანელ ფაშისტთა ჯარებმა მოკლულთა სახით დაჰკარგეს 175.000 ჯარისკაცი და ოფიცერი; ჩვენმა ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს მოწინააღმდეგის 137.650 ჯარისკაცი და ოფიცერი. ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს დავლა: 542 თვითმფრინავი, 2.064 ტანკი, 4.451 ქვემეხი, 2.734 ნაღმსატყორცნი, 8.161 ტყვიამფრქვევი, 15.954 ავტომატი, 3.703 ტანკსაწინააღმდეგო თოფი, 137.850 შაშხანა, 5.000.000-ზე მეტი ყუმბარა, 50.000.000-ზე მეტი ვაზნა, 2.120 ვაგონი, 46 ორთქლმავალი, 434 საწყობი საომარ მასალიანად, საჭურვლიანად და სურსათიანად, 15.039 ავტომანქანა, 15.783 ცხენი, 3.228 მოტოციკლი და დიდძალი სხვა სამხედრო ქონება.

ამავე ხნის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა მოსპეს გერმანელთა 1.249 თვითმფრინავი, 1.187 ტანკი, 1.459 ქვემეხი, 755 ნაღმსატყორცნი, 2.709 ტყვიამფრქვევი, 5.135 ავტომანქანა და ბევრი სხვა სამხედრო ქონება.

წითელი არმიის უმაღლესი მთავარსარდლობის გეგმა მოწინააღმდეგის ჯარების სტალინგრადის დაჯგუფების გარშემორტყმისა და განადგურებისა ხორციელდებოდა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის სარდლის გენერალ-პოლკოვნიკ ნ. ფ. ვატუტინის, სტალინგრადის ფრონტის სარდლის გენერალ-პოლკოვნიკ ა. ი. ერემენკოს, დონის ფრონტის სარდლის გენერალ-ლეიტენანტ კ. კ. როკოსოვსკის; ვორონეჟის ფრონტის სარდლის გენერალ-ლეიტენანტ ფ. ი. გოლიკოვის მეთაურობით, უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის წარმომადგენლების—არმიის გენერალ გ. კ. ჟუკოვის, გენერალ-პოლკოვნიკ ა. მ. ვასილევსკის და არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკ ნ. ნ. ვოროზეიკოვის საერთო ხელმძღვანელობით.

ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ პ. ი. ბატოვის, გენერალ-ლეიტენანტ ვ. ი. კუზნეცოვის, გენერალ-ლეიტენანტ დ. დ. ლელიუშენკოს, გენერალ-ლეიტენანტ რ. ი. მალინოვსკის, გენერალ-ლეიტენანტ მ. მ. პოპოვის, გენერალ-ლეიტენანტ პ. ლ. რომანენკოს, გენერალ-მაიორ ი. მ. ჩისტიაკოვის, გენერალ-მაიორ ფ. ი. ტოლბუხინის, გენერალ-მაიორ ნ. ი. ტრუფანოვის და გენერალ-ლეიტენანტ ფ. მ. ხარიტონოვის ჯარებმა.

გარდა ამისა, ბრძოლებში თავი გამოიჩინეს სატანკო და მექანიზებულმა კორპუსებმა, რომელთაც სარდლობენ სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტი ვ. მ. ბადანოვი, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტი პ. ა. როტმისტროვი, გენერალ-მაიორი ი. ნ. რუსიანოვი, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორი ვ. ტ. ვოლსკი, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორი პ. პ. პოლუბოიაროვი, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორი პ. პ. პავლოვი, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორი ა. გ. როდინი, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორი ვ. ვ. ბუტკოვი, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორი ტ. ი. ტანასჩიშინი, გენერალ-მაიორი მ. ვ. ვოლკოვი და გენერალ-მაიორი კ. ვ. სვიჩევსკი.

სტალინგრადთან საბჭოთა ჯარების წარმატებას ხელს უწყობდნენ: ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ ს. ა. კრასოვსკის, ავიაციის გენერალ-მაიორ ტ. ტ. ხრიუკინის, ავიაციის გენერალ-მაიორ ლ. გ. რუდენკოს ავიაშენაერთები, რომლებიც მოქმედებდნენ უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის წარმომადგენლების—ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ ა. ა. ნოვიკოვის და ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ ფ. ი. ფალალეევის საერთო ხელმძღვანელობით.

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო.

მოსკოვი, კრემლი

ამხანაგ სტალინს

აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის კოლმეურნეებმა და კოლმეურნე ქალებმა, რომელნიც აღფრთოვანებული არიან თქვენი ისტორიული მოხსენებით, გამსჭვალული არიან გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისადმი უაღრესი სიძულვილით და მთელ თავიანთ ძალ-ღონეს ანდომებენ წითელი არმიის განმტკიცებას, რომელიც გმირულ ბრძოლას ეწევა გერმანელი ბარბაროსებისაგან საბჭოთა მიწა-წყლის გასაწმენდად, ტამბოვის ოლქის კოლმეურნეთა მაგალითისამებრ, 81.020.000 მანეთი შეაგროვეს სატანკო კოლონა „აზერბაიჯანელი კოლმეურნის“ ასაგებად. კოლმეურნეებმა პირადი მარაგიდან ნებაყოფლობით შეიტანეს 140.092 ფუთი მარცვლეული წითელი არმიის პურის ფონდში. რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა ვადამდე შეასრულეს სახელმწიფოს წინაშე თავიანთი ვალდებულებანი ხორცის, ერბო-კარაქის, ბრინზის და მატყლის ჩაბარების ხაზით და მომავალი წლის ჩაბარებათა ანგარიშში ავანსად შეიტანეს 484.197 ფუთი ხორცი, 14.397 ფუთი ერბო-კარაქი, 20.100 ფუთი ბრინზა, 34.200 ფუთი მატყლი. სახსრებისა და პურის შეგროვება და სოფლის მეურნეობის პროდუქტების ავანსად ჩაბარება გრძელდება.

აზერბაიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი

მ. ჯ. ბაგიროვი

ბაქო. აზერბაიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხანაგ ბაგიროვს

გადაეცით ჩემი ძმური სალამი და წითელი არმიის მადლობა აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კოლმეურნეებსა და კოლმეურნე ქალებს, რომელთაც 81.020.000 მანეთი შეაგროვეს სატანკო კოლონა „აზერბაიჯანელი კოლმეურნის“ ასაგებად და სახელმწიფო ვალდებულებათა შესრულების შემდეგ 140.000-ზე მეტი ფუთი მარცვლეული გადასცეს წითელი არმიის ფონდს.

ი. სტალინი

საქართველოს სს რესპუბლიკის ზუგდიდის რაიონის სოფელ ორსანეტის გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობა

კოლმეურნე იოსებ კვაჭალას-ძე ხაზარიას

მიიღეთ ჩემი სალამი და წითელი არმიის მადლობა, იოსებ კვაჭალას-ძევ, წითელი არმიის ჯავშანსატანკო ძალებზე თქვენი ზრუნვისათვის.

ი. სტალინი

საქართველოს სსრ ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალსოფლის კოლმეურნეობა „დამკვრელი“

კოლმეურნე ვენერა ევგენის-ასულ კუკუნიას

მიიღეთ ჩემი სალამი და წითელი არმიის მადლობა, ამხანაგო კუკუნია, წითელი არმიის ჯავშანსატანკო ძალებზე თქვენი ზრუნვისათვის.

ი. სტალინი

უკანასკნელ საათს

31 დეკემბერს ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის სადგური ოგლივსკაია და რაიონული ცენტრები ნიჟნე-ჩირსკაია და პრიუტნოე. წამოღებულია დიდი დავლა. დავლაში არის ეშელონი თვითმფრინავებიანად. სწარმოებს ნადავლის დათვლა.

ცენტრალურ ფრონტზე ჩვენი ჯარები შეტევითს ბრძოლებს განაგრძობენ.

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო.

მოსკოვი. სკპ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი. ამხანაგ სტალინს

ამხანაგო სტალინ, საბჭოთა სომხეთის კოლმეურნეებმა და კოლმეურნე ქალებმა, რომელნიც აღფრთოვანებული არიან თქვენი ისტორიული მოხსენებით და გამსჭვალული არიან მხურვალე სურვილით—კიდევ უფრო ძლიერ დაეხმარონ თავიანთ მშობლიურ წითელ არმიას, ტამბოველთა მაგალითისამებრ, თავიანთი, პირადი დანაზოგიდან 38.000.000 მანეთი შეაგროვეს სატანკო კოლონა „სომეხი კოლმეურნის“ ასაგებად. სახსრების შეგროვება გრძელდება.

ამავე დროს სომხეთის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა სახელმწიფო ჩაბარების გეგმის შესრულების შემდეგ წითელი არმიის ფონდში შეიტანეს 84.000 ფუთი 1942 წლის მოსავლის მარცვლეული, კარტოფილი, ხორცი და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

სომხეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. არუთინოვს

**გადაეცით ჩემი ძმური სალამი და წითელი არმიის მადლობა სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კოლმეურნეებსა და კოლმეურნე ქალებს, რომლებმაც 38.000.000 მანეთი შეაგროვეს სატანკო კოლონა „სომეხი კოლმეურნის“ ასაგებად და წითელი არმიის ფონდში შეიტანეს 84 ათასი ფუთი მარცვლეული, კარტ

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

31 დეკემბრის დილის ცნობა

30 დეკემბრის ღამის განმავლობაში სტალინგრადის სამხრეთით, დონის შუაწელის რაიონში და ცენტრალურ ფრონტზე ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევითს ბრძოლებს წინანდელი მიმართულებებით.

* * *

სტალინგრადის საქარხნო რაიონში საბჭოთა ქვეითი ჯარის რაზმები, არტილერიისა და ნაღმსატყორცნების დახმარებით, განაგრძობდნენ წინწაწევას და მნიშვნელოვნად გაიუმჯობესეს პოზიციები. მოსპობილია მტრის რამდენიმე ათეული ძელმაწური საცეცხლე წერტი და გაულტილია ერთ ასეულამდე ჰიტლერელი.

* * *

სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ქვეითი ჯარის რაზმები ცალკეულ უბნებზე საბრძოლო მოქმედებას ეწეოდნენ. ჩვენმა ნაწილებმა 200-მდე ჰიტლერელი გაჟლიტეს. დაზიანებული და დამწვარია გერმანელთა 4 ტანკი, განადგურებულია 5 სანაღმტყორცნო ბატარია, დამტვრეულია 4 ავტომანქანა ქვეითი ჯარიანად. ჩვენმა მებრძოლებმა ხელთ იგდეს 18 ტყვიამფრქვევი, 150-მდე შაშხანა და სხვა დავლა.

ჩვენმა მფრინავებმა აეროდრომებზე მოსპეს და დაზიანეს გერმანელთა 10 თვითმფრინავი. საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 2 თვითმფრინავი.

* * *

სტალინგრადის სამხრეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ მტრის დევნას, რომელიც უკან იხევს. ჰიტლერელთა ცალკეულმა რაზმებმა სცადეს წინააღმდეგობა გაეწიათ, მაგრამ ძლეულ იქნენ საბჭოთა შემტევი ნაწილების დარტყმებით. ქალ. კოტელნიკოვოში იმ დავლას გარდა, რის შესახებაც წინათ უკვე ვიუწყებოდით, ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს 40 ტანკსწინააღმდეგო ქვემეხი, ავიაბომბების დიდი საწყობი, 8 დაშლილი თვითმფრინავი, 4 მძიმე ტანკი, ცისტერნი საწვავიანად, რამდენიმე ორთქლმავალი და მოძრავი შემადგენლობა. 6 ნაწილმა წინწაწევისას დაიკავა დასახლებული პუნქტი და ხელთ იგდო 23 ქვემეხი, 16 ავტომანქანა და 100 ცხენი. ტყვედ წამოყვანილია მოწინააღმდეგის 700-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

დონის შუაწელის რაიონში ჩვენი ჯარები შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ და მთელ რიგ უბნებზე ამაგრებდნენ დაკავებულ პოზიციებს. 5 ნაწილის მებრძოლებმა გერმანელები განდევნეს თავდაცვის ძლიერ გამაგრებული კვანძიდან და 260 ჰიტლერელი გასწყვიტეს. ტყვედ წამოყვანილია 85 კაცი. ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს 12 ქვემეხი, 17 ტყვიამფრქვევი, 5 რადიოსადგური და საწყობი სურსათიანად. სხვა უბანზე მოწინააღმდეგის ქვეითმა ჯარმა და ტანკებმა რამდენიმე სასტიკი კონტრიერიში მოიტანეს. თავდაპირველად მათ შესძლეს შეეღწიონიათ ჩვენი ქვეგანაყოფები. შემდეგ საბჭოთა მებრძოლებმა მტრის ფლანგს დაარტყეს და აიძულეს უკან დახევა უწესრიგოდ. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 200-ზე მეტი გვამი და 4 დამწვარი ტანკი.

* * *

ცენტრალურ ფრონტზე ჩვენი ჯარები აქტიურ საბრძოლო მოქმედებას განაგრძობდნენ. ველიკიე ლუკის რაიონში საბჭოთა ნაწილებმა მოწინააღმდეგის რამდენიმე დასაყრდენი პუნქტი დაიკავეს და 300 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი გაულიტეს.

რეჟევის დასავლეთით მდებარე რაიონში ერთ უბანზე გერმანელებმა ათჯერ მოიტანეს კონტრიერიში იმ ქვეგანაყოფის პოზიციებზე, რომლის მეთაურიც არის ამხ. ლარცევი. ჩვენმა მებრძოლებმა ჰიტლერელთა ყველა კონტრიერიში მოიგერიეს. ამ ბრძოლაში მოწინააღმდეგემ დაჰკარგა 500-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი მოკლულთა სახით, დიდძალი ტექნიკა და საჭურველი.

* * *

ნალჩიკის სამხრეთ – აღმოსავლეთით ჩვენმა ნაწილებმა თერგი გადალახეს და ფლანგზე დარტყმით უკუაგდეს მოწინააღმდეგე. ბრძოლის შედეგად გაულეტილია 120 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. წამოყვანილია ტყვეები. წამოღებულია 4 ქვემეხი, 7 ტყვიამფრქვევი, 4 ნაღმსატყორცნი, რადიოსადგური, 3 სალაშქრო სამზარეულო და სხვა დავლა.

* * *

ორიოლის ოლქში მოქმედი რაზმის პარტიზანებმა ლიანდაგიდან გადააგდეს მოწინააღმდეგის 4 სამხედრო ეშელონი. მარცხის შედეგად დამტვრეულია 4 ორთქლმავალი, 82 ვაგონი ცოცხალ ძალიანად და ტექნიკიანად. მოკლულია მრავალი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. პარტიზანთა იგივე რაზმი უეცრად დაესხა თავს მოწინააღმდეგის გარნიზონს სამ დასახლებულ პუნქტში. გაულეტილია 43 ჰიტლერელი და განადგურებულია გერმანელთა ცალკეული ასეულის შტაბი. საბჭოთა პატრიოტებმა ხელთ იგდეს შტაბის დოკუმენტები, 22 შაშხანა, დიდძალი საომარი მასალა და სურსათი.

* * *

ვორონეჟის ოლქის ამჟამად განთავისუფლებულ ხუტორ ატამანოვსკის მცხოვრებლებმა შეადგინეს აქტი გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა მხეცობის შესახებ. აქტში ნათქვამია: „ჰიტლერელმა მაროდიორებმა დაიტაცეს კოლმეურნეობისა და კოლმეურნეთა ქონება, გლეხებს წაართვეს საქონელი, სურსათი, ავარეჯეკ ტანსაცმელი და ფეხსაცმელი. გერმანელებმა კოლმეურნეობიდან წაიღეს მთელი მარცვლეული, გაირეკეს 44 ცხენი, 22 ძროხა, 8 ხარი, 56 ღორი, 27 ცხვარი, გაანიავეს მეფრინველეობის ფერმა. ჰიტლერელმა დამრბევლებმა სკოლაში დაამტვრიეს და დასწვეს პარტები, ჩალეწეს კარ-ფანჯარა, დასწვეს სასწავლო სახელმძღვანელოები და სკოლის ბიბლიოთეკა. ჰიტლერელმა არამზადებმა დახვრიტეს ეგორ პოლოვინოვი, ნატალია რეზნიკოვა. დაჭრილი პოლიტხელი ვასილ კუშნეროვი და ტყვედ წაყვანილი 7 წითელარმიელი, რომელთა ვინაობის გამორკვევა ვერ მოხერხდა. მოსახლეობა წყევა-კრულვით იხსენიებს ჰიტლერელთა ურდოს და უდიდესი სიხარულით შეხვდა თავის განმთავისუფლებელ წითელ არმიას". აქტს ხელს აწერენ ხუტორის მცხოვრებნი: დიმიტრი ბურლაკინი, სტეფანე დუბინინი, მელანია კოროსტოვა და ირინე ბურლაკინა.

31 დეკემბრის საღამოს ცნობა

31 დეკემბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები სტალინგრადის რაიონში, ცენტრალურ ფრონტზე და დონის შუაწელის რაიონში განაგრძობდნენ შეტევითს ბრძოლებს წინანდელი მიმართულებებით.

ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის სადგური ობლივსკაია და რაიონული ცენტრები ნიჟნე-ჩირსკაია, პროუტნოე.

30 დეკემბრის განმავლობაში სტალინგრადის რაიონში მოსპობილია 11 სატანსპორტო ფაშისტური თვითმფრინავი.

* * *

30 დეკემბერს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბნებზე მოსპეს ან დაზიანეს გერმანელთა 10 ტანკი, 100-მდე ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, ჩაახშეს 20 საარტილერიო ბატარეა, ცეცხლი, აიფეთქეს სამარი მასალების 10 საწყობი და საწვავის საწყობი, გაპფანტეს და ნაწილობრივ მოსპეს მტრის სამ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი.

* * *

სტალინგრადის საქარხნო რაიონში ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ, წინ წაიწიეს და რამდენიმე უბანი დაიკავეს. მოსპობილია მტრის 400-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი. წამოღებულია დავლა და წამოყვანილია ტყვეები.

* * *

სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით გრძელდებოდა გაფფრებული ბრძოლები იმ მაღლობის რაიონში, რომელიც ორი დღის წინათ დაიკავეს ჩვენმა ნაწილებმა, მტრის, ტანკები და ქვეითი ჯარი რვაჯერ გადმოვდნენ კონტრიერიშზე, მაგრამ საბჭოთა მებრძოლების დარტყმებით ყოველთვის უკუქცეულ იქნენ. ჩვენმა ნაწილებმა მოჰქანცეს მტერი, კონტრდარტყმა აგიმეს ჰიტლერელებს და დაიკავეს 40-მდე სანგარი, გერმანელებმა მოკლულთა სახით დაჰკარგეს 600-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი. დაზიანებულია მტრის 33 ტანკი, წამოყვანილია ტყვეები და წამოღებულია დავლა.

ჩვენმა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდეს მტრის 4 თვითმფრინავი.

* * *

სტალინგრადის სამხრეთით ჩვენი ჯარები სძლევდნენ მტრის წინააღმდეგობას, წარმატებით განაგრძობდნენ წინსვლას და დაიკავეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტები. სიროტსკაიას და ივანოვკის რაიონში საბჭოთა მებრძოლებმა ტყვედ წამოიყვანეს მტრის 700-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. წამოღებულია 18 საველე და 16 საზენიტო ქვემეხი, 20 ავტომანქანა, 1.240 შაშხანა, დიდძალი საომარი მასალები და სხვა დავლა. 5 ნაწილის ქვეგანაყოფებმა განდევნეს მტერი ერთი დასახლებული პუნქტიდან და ხელთ იგდეს 16 ქვემეხი, 25 ტყვიამფრქვევი, 19 ავტომანქანა და ორი სანიეთო საწყობი. ტყვედ წამოყვანილია 240 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

დონის შუაწელის რაიონში ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ, ხოლო ცალკეულ უბნებზე პოზიციებს იუმჯობესებდნენ.

ველიკიე ლუკის რაიონში საბჭოთა ნაწილები ეწეოდნენ ბრძოლებს მტრის გარშემორტყმული გარნიზონის მოსასპობად, რეჟევის დასავლეთით მდებარე რაიონში ჩვენმა ნაწილებმა განდევნეს მტერი გამაგრებული პოზიციებიდან. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 300-ზე მეტი გვამი და ორი დამწვარი ტანკი. ხელთ ვიგდეთ თვითმავალი ქვემეხი და საომარი მასალების საწყობი.

* * *

ნალჩიკის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენი ჯარები ამაგრებდნენ დაკავებულ ზღუდეებს და ძალების ნაწილით ეწეოდნენ შეტევითს ბრძოლებს. გაფფრებული ბრძოლები სწარმოებდა მტრის ერთი დასაყრდენი პუნქტის რაიონში. ამ ბრძოლებში მოსპობილია 400-მდე ჰიტლერელი. ჩვენი არტილერიის ცეცხლით დაზიანებულია 6 ქვემეხი, მოსპობილია 12 ავტომანქანა ტვირთიანად და აფეთქებულია ორი საწყობი საომარ მასალიანად.

* * *

კოტოვსკის სახელობის პარტიზანულმა რაზმმა, რომელიც ვიტებსკის ოლქში მოქმედებს, მოაწყო მტრის სამხედრო ეშელონის მარცხი. დამსხვრეულია ორთქლმავალი და აფეთქებულია 10 ვაგონი საომარ მასალიანად. ვიტებსკელ პარტიზანთა სხვა რაზმმა ორი თვის განმავლობაში ლიანდაგიდან გადააგდო გერმანელთა 21 ეშელონი. მოსპობილი და დაზიანებულია 21 ორთქლმავალი და 250 ვაგონი მტრის ჯარისკაცებიანად, საჭურვლიანად და ტექნიკიანად. დამტვრეული ვაგონების ნამსხვრევებქვეშ დაიღუპა 300-ზე მეტი ჰიტლერელი.

* * *

ფრანგი თავისუფალი მსროლელნი აქტიურ მოქმედებას ეწევიან გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ. მსროლელთა მოძრავი რაზმები გზატეხილებზე მოქმედებენ. ორ კვირაში პარიზ-ნეველის ტრასაზე მოქმედმა ფრანგმა პატრიოტებმა დასწვეს 28 სატვირთო და მსუბუქი მანქანა, გასწყვიტეს 85 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. მარსელის ახლოს პატრიოტებმა აფეთქეს საომარი მასალების დიდი საწყობი და დასწვეს საწვავის საწყობი.

(მიღებულია რადიოთი საქრადიოკომიტეტის მიერ).

ავაგოთ საჯანკო კოლონა „ქართველი კოლმეურნე"

დამაგებით შეაქვთ სახსრები

ჭიათურა („კომუნისტის" საკ. კორ.). ჭიათურის რაიონის კოლმეურნეები ამხანაგ სტალინის დებეშის პასუხად აძლიერებენ სახსრების შეგროვებას სატანკო კოლონა „ქართველი კოლმეურნის" ასაგებად.

30 დეკემბრისათვის რაიონში შეგროვებული იყო 1.145.000 მანეთი. ქვედა უსახელოს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. გიორგი წერეთელმა სატანკო კოლონის აგების ფონდში დამატებით შეიტანა 31.000 მანეთი, მანდატურის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. შალვა წიწვიძემ—30.000 მანეთი, გუნდაეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. რაჟდენ ფანჩიძემ—30.000 მანეთი.

სახსრების შეგროვებასთან ერთად კოლმეურნეები წარმატებით აგროვებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს. სოფელ სვერის კოლმეურნეებმა პირველ დღეს შეაგროვეს 150 ფუთი სიმინდი, სოფელ ნიგოზეთის კოლმეურნეებმა — 180 ფუთი სიმინდი, სოფელ წრქვალის კოლმეურნეებმა—120 ფუთი სიმინდი, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ნინო ლომიძემ შეიტანა 13 ფუთი სიმინდი, კოლმეურნემ ამხ. ალექსანდრე სამხარაძემ—8 ფუთი.

40 ჯონა პური წითელი არმიისათვის

ქარელი („კომუნისტის" საკ. კორ.). ქარელის რაიონის კოლმეურნეებმა გორის, თეთრი წყაროს, ლანჩხუთის, სიღნაღისა და გურჯაანის რაიონების კოლმეურნეთა მაგალითის მიხედვით, თავიანთი პირადი გარდამეტიდან ოთხი დღის განმავლობაში წითელი არმიის ფონდში შეიტანეს 40 ტონაზე მეტი პური.

კამოს სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა შეიტანეს 2.300 კილოგრამი პური. დირბის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა—1.000 კილოგრამი და სხვ.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შეგროვება წარმატებით გრძელდება.

ვ. ინასარიძე

საახალწლო ანკეტა

შ. დადიანი

ორდენოსანი დრამატურგი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი

ომის პირველ ხანებიდანვე ვიწყე გამოსვლა წითელი არმიის ნაწილებში, ჰოსპიტლებში, რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხის, შრომელი მოსახლეობის წინაშე. თან განვაგრძობ სადღეისო წერილების და პატარ-პატარა მოთხრობების წერას.

ეს ხალისი კიდევ უფრო იმან გამიღვივა, რომ მაქვს რწმენა ჩვენი ხალხის სულიერი სიმტკიცისა და ჩვენი სასიქადულო წითელი არმიისა, რომელმაც ასე მამაცურად, გმირულად შეუტია მტერს.

მტერი გარბის!

საუკეთესო მუსიკად მოისმის ეს სიტყვები ჩვენს გულსა და გონებაში და ამაზე უკეთესი აბა რა მაქვს ამ ახალწელიწადს სათქმელი.

ამიტომ კიდევ უფრო მომილოცნია ეს ახალი წელი, ბევრის მთქმელი, დიდად მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი ახალი წელი — 1943.

ყველასა გეწამს, რომ ამ წელიწადში საბოლოოდ: სიკეთე დასძლევს ბოროტსა, არსება მისი გრძელია!

ა. ხორავა

სტალინური პრემიის ლაურეატი, სსრკ სახალხო არტისტი

1942 წელი დამთავრდა ისეთ ვითარებაში, როდესაც წარმატებით ვითარდება სახელოვანი წითელი არმიის ბრწყინვალედ დაწყებული შეტევა ფაშისტ ოკუპანტთა წინააღმდეგ. უდიდესი სურვილი, რომლითაც ყოველი საბჭოთა მოქალაქე ხვდება ახალ წელს, ერთადერთია: რაც შეიძლება მალე განადგურდეს კაცეჭამია ჰიტლერი და მისი სამხედრო მანქანა, განთავისუფლდეს საბჭოთა მიწა-წყალი ფაშისტ ოკუპანტთაგან, რომ ჩვენმა თავისუფლებისმოყვარე ხალხმა კვლავ განაგრძოს მშვიდობიანი მშენებლობა.

ვუსურვებ წითელ არმიას ახალ-ახალ გამარჯვებებს. ვუსურვებ ისეთი მომაკვდინებელი დარტყმები ეგემებინოს საზიზღარ ჰიტლერელთათვის, რომ სამუდამოდ აღგავოს პირისაგან მიწისა ფაშისტური სიბილწე.

გ. ახვლედიანი

აკადემიკოსი

1942 წელმა მომცა:

გაძლიერებული სიძულვილი დოიჩლანდური ფაშიზმისადმი, როგორც მეცნიერებისა და კულტურის დაუძინებელი მტრისადმი. მომცა შესაძლებლობა მომეღო მონაწილეობა სამშობლოს თავდაცვის საქმეში—ფაშისტური ცრუმეცნიერების მხილებითა და წითელი არმიის კონტუზებულ მებრძოლთადმი ლოგოპედური დახმარებით.

გამიძლიერა იმის რწმენა, რომ შესაძლებელია ფაშიზმის საბოლოო განადგურება უახლოეს დროში და რომ ეს შეუძლია საბჭოთა კავშირის ხალხს, მის ღვიძლ შვილს—წითელ არმიას დიდი სტალინის ხელმძღვანელობით.

რა მსურს 1943 წელს?

სრული და საბოლოო განადგურება ფაშისტური სისაძაღლისა;

შესაძლებლობა მშვიდობიან პირობებში მშენებლობის გაგრძელებისა, კერძოდ მეცნიერული შემოქმედებისა.

დ. უზნაძე

აკადემიკოსი

1942 წელი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მთელი მეცნიერული კოლექტივისათვის, კერძოდ ფსიქოლოგიის სექტორისათვის დიდად ნაყოფიერი იყო. გასული წლის განმავლობაში ფსიქოლოგიის სექტორმა დაამუშავა მთელი რიგი აქტუალური სადღეისო მეცნიერული პრობლემები, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვითი უნარიანობის შემდგომი განმტკიცებისათვის, ჩვენი წითელი არმიის ძლევამოსილების შემდგომი ამაღლებისათვის.

1943 წლისთვისაც გათვალისწინებული გვაქვს ასეთივე ახალი საკითხებისა და პრობლემების შესწავლა. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ გავუადვილოთ წითელ არმიას საძულველი მტრის მოსპობა და უზრუნველვყოთ ჩვენი გამარჯვება ჰიტლერიზმზე.

1943 წელს ვხვდება იმის მტკიცე რწმენით, რომ ჰიტლერიზმი დამარცხებული და განადგურებული იქნება და ჩვენ კვლავ შევუდგებით თავისუფალ მეცნიერულ შემოქმედებითს მუშაობას.

ი. კიპოტრენკო-დომანსკი

უკრაინის სსრ სახალხო არტისტი

განსაკუთრებული იმედით ვხვდებით ჩვენ, მომავე საქართველოში მყოფი უკრაინელები, 1943 წელს. სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ნაწილები უკვე შეეიდნენ უკრაინის პირველ განთავისუფლებულ სოფლებში. ამ სასიხარულო ამბით დამთავრდა გასული 1942 წელი. წითელი არმიის ბრწყინვალე შეტევა კიდევ უფრო აძლიერებს ჩვენს რწმენას, რომ ახალი 1943 წელი იქნება უკრაინის და ყველა დროებით ოკუპირებული საბჭოთა მხარის განთავისუფლების წელი. ჩვენი ერთადერთი სურვილია რაც შეიძლება მალე ვნახოთ თავისუფალი უკრაინის მიწა. გეგულება, რომ უკრაინის და მთელი საბჭოთა ხალხების ეს სურვილი შესრულდება, რადგან ჩვენი ქვეყანა გამარჯვებისაკენ მიჰყავს მშრომელთა საყვარელ ბელადს და გენიალურ მხედართმთავარს ამხანაგ სტალინს.

გრ. წიკლაური, ე. ტაბატაძე

თბილისის საორთქლმავლო დეპოს მემანქანეები

ჩვენებით რა საყვარელი სოციალისტურ შეჯიბრებაში, 1942 წლის განმავლობაში სისტემატურად ვზრდიდით გარბენის მაჩვენებლებს. კრივოროსული სიჩქარით ორთქლმავლის გარბენა დღემდე დაახლოებით 100.000 კილომეტრამდე ავიყვანეთ, 10 თვის განმავლობაში მუშა-ხელია შემცირებით და გარეცხვითი შეკეთებაზე ლუნინური მუშაობით მივაღწიეთ 6.000 მანეთის ეკონომიას. ადგილობრივი მნიშვნელობის შეკეთებას ვახდენდით საკუთარი ძალებით, შეუჩერებლივ.

ჩვენი ორთქლმავალი დგას სტალინური კოლონის რიგებში და ღირსეულად ატარებს ამ საპატიო სახელწოდებას. 1942 წლის განმავლობაში ჩვენ ვმუშაობდით უავარიოდ, უწუნოდ. ჩვენი მიზანია 1943 წელს ორთქლმავლის ტარების დარგში უკეთეს მაჩვენებლებს მივაღწიოთ, კიდევ უფრო თავდადებით ვიმუშაოთ და ამით გმირ წითელ არმიას დავეხმაროთ ფაშისტ ოკუპანტების სრულ განადგურებაში.

ა. ჯანიაშვილი

ნ ქარხნის ხუთასოვანი სტახანოველი

ვმუშაობ თავდაცვითი მნიშვნელობის პროდუქციის გამოშვებაზე. ამხანაგ სტალინის ისტორიული საოქტომბრო მოხსენების პასუხად ჩემს დაზგაზე მთელი რიგი ახალი ტექნოლოგიური პროცესები ავითვისე, რითაც სამჯერ გავზარდე პროდუქციის გამოშვება და საგრძნობლად შევამცირე პროდუქციის თვითღირებულება. ჩემი რაციონალიზატორული წინადადების დანერგვით ქარხანა ყოველწლიურად მიიღებს 280.000 მანეთის ეკონომიას. 1942 წლის განმავლობაში საწარმოო გეგმებს სისტემატურად 400-500 პროცენტით ვასრულებდი.

ვალდებულებას ვიღებ 1943 წელს მოვამზადო 5 ახალი მუშა, 10 პროცენტით გავზარდო შრომის ნაყოფიერება და ჩვენს დიად სამშობლოს, გმირ წითელ არმიას მივცე დამატებითი პროდუქცია ვერაგ მტერზე გასამარჯვებლად.





მოქმედი არმია. ჩრდილოეთ კავკასიის მთებში. № სამთო-მსროლელი რაზმის მებრძოლები ა. ფალავანდიშვილი და პ. კრილოვი. ფოტო მ. ალპერტისა (საკადესის ფოტოქრონიკა).

საომარი მასალა ფრონტს. [illegible] ნის სტახანოველი ზეინკალი [illegible] ებულ ნაღმებს. ამხ. ყარამანოვი სინჯავს [illegible] ნაღმ [illegible] (საკადესის ფოტოქრონიკა).

ი. გრიშაშვილი

1943

ახალო წელო! საქმით ახალით
შენ გაამართლებ ხალხის მოლოდინს:
ახალის ძალით, ახალის ძალით
მოპირდაპირეს ხდიე ბოლომდის.

დაჰკარი დუშმანს ისეთის ეშხით,
ისე ანაზდათ, ისე ძლიერად,
რომ სანანებლად დარჩეთ შემდეგში
რაც აქამომდე იკადნიერა.

ვიცი, დაგვატკბობ ციურ მშვენებით...
და ქვეყნის ორგულს როცა ჰკვეთამდე
უნდა იბრძოლო შეუსვენებლივ
შენს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე.

დღესასწაული უკვე იწყება! —
ამას ბელადი გრძნობდა წინადვე.
გამარჯვებების გვარგუნე წყება,
რომ უკვდავების ცეცხლით ბრწყინავდე.

ახალ წელს ფრონტისადმი დახმარების გაძლიერებით ვხვდებით

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მთელი კოლექტივი დიდი ბელადის—ამხანაგ სტალინის საოქტომბრო მოხსენებისა და ჩვენი ჯარების წარმატებითი შეტევის პასუხად პატრიოტული თავდადებით იბრძვის ფრონტისადმი დახმარების გასაძლიერებლად მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის.

სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული ქარხნის № 24, 25 და 26 სპეცსაამქროები, რომლებმაც წლიური გეგმები ვადაზე ადრე შეასრულეს, ახალ წელს საწარმოო გამარჯვებებით შეხვდნენ.

№ 24 საამქროს (უფროსი ამხ. გ. ერშოვი) სტახანოველები შ. ზაალიშვილი, შ. ჩიმაკაძე, ა. მარგველაშვილი, ი. ჭუმბურიძე, ი. გრიშკოვი და სხვები მუშაობის საუკეთესო მაგალითებს იძლევიან და ყოველთვიურად გეგმებს 300-350 პროცენტით ასრულებენ. საამქროში გამრავლდა ორასოვანთა და სამასოვანთა რიგები. აქ უკვე 20 ორასოვანია და 18 სამასოვანი.

№ 25 საამქრო (უფროსი ამხ. სიმონიანი), რომელმაც წლიური გეგმა ადრე 8 დღით ადრე გაანაღდა, სოციალისტურ შეჯიბრებაში იყო ჩაბმული თბილისის ერთ-ერთ ქარხანასთან. საამქრო შედარებით ნაკლები მუშა ხელით სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა, აღებული ვალდებულებები წარმატებით გაანაღდა.

სტახანოვური მუშაობის მაგალითებს იძლევიან ამ საამქროს მოწინავე ადამიანები — ორდენოსანი დ. ამირანაშვილი, მედალოსანი ს. ბაბაევი, დათუაშვილი, სალიაშვილი, სინჯიკაშვილი, კაპიანიძე, საამქროს უფროსის მოადგილე პეტრიაშვილი, საამქროს პარტორგი ოსტატი მარიამ პეტრენკო, გვაზავა და სხვ.

№ 26 საამქრომ (უფროსი ამხ. თეგზაძე) ქარხანაში პირველმა შეასრულა წლიური გეგმა. საამქროს სტახანოველებმა ზ. ჯლანტიაშვილმა, პ. სუხიაშვილმა, გ. პოკუსინმა, ა. კუხარენკომ და ი. ტრუბნიკოვმა დიდი ბელადის—ამხანაგ სტალინის საოქტომბრო მოწოდების პასუხად მნიშვნელოვნად გაზარდეს შრომის ნაყოფიერება. ისინი ყოველთვიურად გეგმებს 280-300 პროცენტით ასრულებენ. საამქროში უკვე 17 ორასოვანი და სამასოვანი სტახანოველი ითვლება.

სპეციალური დაკვეთების წარმატებით შესრულებისათვის გზათა სახალხო კომისარიატმა № 25 და 26 საამქროების კოლექტივები 40.000 მანეთით დააჯილდოვა.

ქარხნის მთელი კოლექტივი ჩვენი ჯარების წარმატებითი შეტევის პასუხად ახალი წლიდან კიდევ უფრო ახალი ძალით გააჩაღებს მუშაობას მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოსაშვებად და ამით მზარდ დახმარებას გაუწევს გმირ წითელ არმიას ვერაგ მტრის—გერმანელი ფაშისტი ოკუპანტების დაჩქარებით განადგურებაში.

ვ. ტუბაშვილი

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის უფროსის მოადგილე პატრიოტული ომის ორდენოსანი

ნლიური გეგმები ვადამდე შეასრულეს

დიდი სტალინის საოქტომბრო მოხსენებისა და ფრონტებზე ჩვენი ჯარების წარმატებითი შეტევის პასუხად საბჭოთა საქართველოს მთელ რიგ საწარმოო კოლექტივებმა წლიური საწარმოო გეგმები ვადამდე შეასრულეს, სამშობლოს, ფრონტს გეგმის გადამეტებით მისცეს დიდძალი მაღალხარისხოვანი პროდუქცია.

საქ. სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით წლიური გეგმები ვადამდე შეასრულეს თბილისის, მაუდ-კამოლის ფაბრიკამ (დირექტორი ამხ. მდინარაძე) და ბამბის ძაფსართავამ ქარხანამ (დირექტორი ამხ. ქარუმიძე).

საქენერგოს სისტემის ხაზით ზემო-ავჭალის ჰიდროელექტროსადგურს (დირექტორი ამხ. ხეთაგური) და რიონის ჰიდროელექტროსადგურს (დირექტორი ამხ. გაჩეჩილაძე) ელექტროენერგიის გამომუშავების წლიური გეგმა 28 დეკემბრისათვის შესრულებული ჰქონდა გადამეტებით.

ელექტროენერგიის გამომუშავების დეკემბრის გეგმა ვადამდე 4 დღით ადრე შეასრულეს **ზაჰესმა, აწყესმა და ტყვარჩელის თბოელექტროსადგურმა.** დეკემბრის გეგმა მთლიანად შეასრულა **საქენერგომ.**

წლიური გეგმა ვადამდე შეასრულა **თბილისის წისქვილკომბინატმა** (დირექტორი, ამხ. მინდიშვილი), რომელმაც ნოემბრის მაჩვენებლები საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მეორე ადგილი დაიკავა და მეორე პრემია მიიღო.

საქართველოს სახელგამის ბეჭდვითი ხიტყვის კომბინატმა (დირექტორი ამხ. ა. შახნაზაროვი) საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური პროგრამა 9 დღით ადრე შეასრულა. კომბინატის კოლექტივმა აიღო ვალდებულება წლის ბოლომდე დამატებით გამოუშვას 25.000 მანეთის პროდუქცია უცვლელ ფასებში.

თბილისის რძის ქარხნის (დირექტორი ამხ. სირაძე) კოლექტივმა სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მისცა (უცვლელ ფასებში) 277.500 მანეთის პროდუქცია.

საახალწლო საჩუქრები წითელი არმიის მებრძოლებს

თბილისის მშრომელებმა საახალწლოდ წითელი არმიის გმირ მებრძოლებს დიდძალი საჩუქრები დაუმზადეს.

ორჯონიკიძის რაიონის საწარმო-დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეებმა შეაგროვეს 9 ათასი მანეთი, შეიძინეს სხვადასხვა საჩუქრები და გაუგზავნეს ფრონტზე გმირ მებრძოლებს.

26 კომისრის რაიონიდან სახელობითს საახალწლო საჩუქრებს უგზავნიან წითელარმიელებსა და მეთაურებს 89-ე საშუალო სკოლა (დირექტორი ამხ. ვ. სისაკიანი), საბავშვო ბაღი № 116, საკონდიტრო და მაკარონის ფაბრიკები და სხვ.

კიროვის რაიონიდან გმირ წითელ არმიას საახალწლო საჩუქრები დაუმზადეს 79-ე სკოლამ, 26 კომისრის სახელობის არტელმა და მეორე სამკერვალო ფაბრიკამ.

მაუდ-კამოლის ფაბრიკის „საბჭოთა საქართველოს" მუშა-მოსამსახურეებმა 1.500 მანეთი შეაგროვეს გმირი წითელი არმიის მებრძოლთათვის საახალწლო საჩუქრების გასაგზავნად.

საელმავლო დეპოს, ავტოხარემონტო ქარხნისა და № 5 სავაგონო უბნის მუშა-მოსამსახურეები 2 იანვარს აწყობენ საახალწლო შეხვედრას საშეფო ჰოსპიტალში. დაჭრილ მებრძოლებს მათ საახალწლო საჩუქრები დაუმზადეს. საჩუქრებშია ხილი, თამბაქო, ადგილობრივი ძალებით გაიმართება საღამო-კონცერტი.

თბილისის სატრიკოტაჟო კომბინატის კოლექტივი საშეფო ჰოსპიტალში მებრძოლებისათვის აწყობს საღამო-კონცერტს, რის შემდეგაც დაჭრილ მებრძოლებს საახალწლო საჩუქრებს გადასცემენ.

თბილისის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივი საშეფო ჰოსპიტალში საახალწლოდ აწყობს ნაძვის ხეს და საღამო-კონცერტს მოწვეული ძალებით. მებრძოლებისათვის დამზადებულია საახალწლო საჩუქრები—ხილი, თამბაქო, პაპიროსი.

ნ ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა 5 ათასი მანეთი შეაგროვეს, შეიძინეს საახალწლო საჩუქრები და გადასცეს საშეფო ჰოსპიტალს დაჭრილი მეომრებისათვის.

საახალწლო ნაძვის ხე

კონსერვატორიის დიდ დარბაზში

ყოველდღე 12 იანვრამდე (ჩათვლით) თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში საქფილარმონია აწყობს ორ-ორ საბავშვო დილას. კონცერტის დაწყებამდე ფოიეებში ეწყობა საბავშვო გასართობები, მასობრივი ცეკვა, სიმღერები. კონცერტის სპეციალური პროგრამის დამთავრების შემდეგ ბავშვებს ურიგებენ საჩუქრებს. ბილეთი ღირს 10 მაწ. კონცერტების დასაწყისი დღის 12 და 4 საათზე.